

საქართველოში ფიქლის გაზის ძიების შესაძლებლობების

წინასწარი შესწავლა

ძირითადი დასკვნები

საქართველო ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ქვეყანაა, წიაღისეული საწვავის მცირე რესურსებით. ქვეყნის გაზომომარაგების ძირითადი წყარო „სამხრეთ-კავკასიური მილსადენი“-თ აზერბაიჯანიდან თურქეთში და „ჩრდილოეთ-სამხრეთის მილსადენი“-თ რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტის ნატურალური გადასახადია, რასაც ემატება აზერბაიჯანიდან და შედარებით ნაკლები მოცულობით, რუსეთიდან შესყიდული გაზი. გაზის ადგილობრივი წყაროს არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. 21-ე საუკუნის სრულიად ახალმა და ფრიად პერსპექტიულმა მიმართულებამ – „ფიქლის“ გაზის ინდუსტრიამ, შეიძლება საქართველოს ენერგოუსაფრთხოება რადიკალურად გააუმჯობესოს.

საქართველოში „ფიქლის“ გაზის ძებნა-ძიების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით ორგანიზაციამ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოს“ (WEG) განაცხადი შეიტანა USAID-ის მიერ „საქართველოს ენერგეტიკული შესაძლებლობის პროექტის“ ფარგლებში გამოყოფილი გრანტის მისაღებად. განაცხადი განიხილა AEAI-მ -- გრანტების პროგრამის განმხორციელებელმა ორგანიზაციამ და WEG-თან გააფორმა საგრანტო ხელშეკრულება (კონტრაქტი No. DOT-I-00-04-00022-00; WEG Grant Agreement #ECI-GA-R2-48). წინამდებარე ანგარიში მომზადებულია USAID-ის საქართველოს ოფისისთვის და მასში აღწერილია ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევის შედეგები. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში „ფიქლის“ გაზის რესურსების არსებობისა და ათვისების პოტენციალის მაღალი დონის შეფასება.

საქართველოს მთავრობამ მიიღო ქვეყანაში „ფიქლის“ გაზის მოპოვების პერსპექტივის შესწავლის გადაწყვეტილება. ქვეყანაში „ფიქლის“ გაზის ინდუსტრიის განვითარების ძირითადი მიზნებია:

1. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მდგრადობის ამაღლება გრძელვადიან პერსპექტივაში;
2. საქართველოს მოსახლეობისა და ეკონომიკისათვის ენერგორესურსების ღირებულების შემცირება;
3. მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღება საქართველოში ადგილობრივი მინერალური რესურსების მოპოვების შედეგად.

ფონდმა „მსოფლიოს გამოცდილება საქართველოს“ (WEG) ჩაატარა ქვეყანაში „ფიქლის“ გაზის ძებნა-ძიების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. კვლევის შედეგად

საქართველოში გამოვლენილ იქნა „ფიქლის“ გაზის შესაძლო შემცველი ოთხი ძირითადი ფორმაცია:

- ა) ზედა მიოცენური (სარმატული) ფორმაცია;
- ბ) ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური (მაიკოპური) ფორმაცია;
- გ) შუა იურული (აალენ-ბათური) ფორმაცია, და
- დ) ქვედა იურული (ლიასური) ფორმაცია.

აღნიშნული, „ფიქლის“ გაზის პერსპექტიული ფორმაციები გეოგრაფიულად მდებარეობს, როგორც ნავთობისა და გაზის მოპოვების არსებული სალიცენზიო ბლოკების ფარგლებში, ასევე მათ ფარგლებს გარეთაც, შედარებით ნაკლებად შესწავლილ ტერიტორიაზე. გამოყოფილი ფორმაციების გავრცელების არეალი, სიღრმე და სიმძლავრეები ისევე, როგორც შესწავლილობის დონე განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფორმაციებში აღრიცხული იყო გაზის არსებობის მრავალი ნიშნები, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საკმარისი არ არის გაზის მარაგების და მისი მოპოვების ეკონომიკური პერსპექტიულობის შესაფასებლად. გაზის შემცველი „ფიქლების“ პოტენციალის ძალიან მიახლოებითი შეფასება გვიჩვენებს, რომ წარმატების შემთხვევაში, გაზის პოტენციური რესურსები შეერთებული შტატების „ფიქლის გაზის“ ყველაზე პროდუქტიულ საბადოების რიგის შეიძლება იყოს.

WEG-ის შეფასებით, საქართველოს პოტენციული „ფიქლის“ გაზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება გაზის მარაგების არსებობის დასადგენად. შემდგომი შესწავლა, გეოლოგიური პარამეტრების და შემცველი ფორმაციის შესახებ მონაცემების მოპოვება და ანალიზი აუცილებელია „ფიქლის“ გაზის სამრეწველო პოტენციალის შესაფასებლად. გარდა ამისა, საქართველოში „ფიქლის“ გაზის მოპოვების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად საჭიროა ბაზრის რეგულირების და ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა.


ქვემოთ მოყვანილ N1 ცხრილში მოცემულია საქართველოში არსებული ოთხი პერსპექტიული ფორმაციის ზოგიერთი მახასიათებლების შედარება.

ცხრილი 1. საქართველოში „ფიქლის“ გაზის გამოვლენილი პოტენციური ფორმაციების შედარება


„ფიქლის“ ფორმაცია	სიღრმე მინ/მაქს	სიმძლავრე მინ/მაქს	მომწიფე ბულობა	გავრცელება	ტექტონიზაცია	ლითოლოგია	ნავთობისა და გაზის გამოვლინება	შესწავლილობის დონე
ზედა მიოცენური (სარმატული)	0/3,000	300/3,000	მომწიფე ბული	ზონალური: ქართლში, სამხრეთ კახეთში, გურიასა და აფხაზეთ-სამეგრელოში; ლოკალური: რიონისა და თბილისის ზონებში	სუსტი	ქვიშიანი-თიხები კონგლომერატის და კირქვის შუაშრეებით	ნავთობის გამოვლინება	საშუალო
ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური (მაიკოპური)	0/>5,000	700/2,500	მომწიფე ბული	რეგიონალური	საშუალო	თიხა („ფიქალი“) და ქვიშიანი-თიხები	ნავთობისა და გაზის გამოვლინება	კარგი
შუა იურული (აალენ-ბათური)	0/>9,000	400/1,300	მომწიფე ბული	რეგიონალური	ძლიერი ვერტიკალური, გადაბრუნებული ნაოჭებით და შეცოცებებით	„ფიქლის“ და ქვიშაქვის მონაცვლეობა	ნავთობი	ცუდი/საშუალო
ქვედა იურული (ლიასური)	0/>10,000	200/1,500	მომწიფე ბული / გადა მომწიფე ბული	რეგიონალური	იგივე რაც ზემოთ, მაგრამ უფრო ძლიერად გამოხატული	თიხიანი და ასპიდური ფიქლები კირქვის ჩანართებით	ნავთობის გამოვლინება, ბითუმი	ცუდი/საშუალო

შენიშვნები:


1. ცხრილში შეტანილია „ფიქლის“ მხოლოდ ის ფორმაციები, რომლებიც გავრცელების არეალისა და სიმძლავრის მიხედვით პრიორიტეტულად არის მიჩნეული შემდგომი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისათვის.
2. მომწიფე ბულობა (maturity - არ ავუროთ ნავთობის მომწიფე ბულობაში) გულისხმობს ფორმაციების დიაგნოსტიკური ცვლილების ხარისხს ბუნებრივი გაზის გენერაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით.
3. ტექტონიზაცია - ფორმაციის სივრცულ გაკვლევადობაზე ზეგავლენის მქონე დანაოჭების, ნაპრალონების (რღვევების) და სხვ., კუმულატიური ხარისხობრივი სიდიდე.
4. ტექნიკური და სხვა მიზეზების გამო ბურღვის პროცესში გაზის გამოვლინებათა დოკუმენტირება ყოველთვის არ ხორციელდება.
5. „შესწავლილობის დონე“ - ინფორმაცია ზოგადი გეოლოგიური მახასიათებლების შესახებ, როგორცაა: ლითოლოგია, მინეროლოგია, პეტრო-მექანიკა, in-situ წნევა და ა.შ.



ნახ. 1. საქართველოში ქვედა იურული (ლაიასური) ფორმაციის გავრცელების რუკა.



ნახ. 2. საქართველოში შუა იურული ფორმაციის გავრცელების რუკა.



ნახ. 3 საქართველოში მაიკროკლიმის სერიის გავრცელების რუკა




Figure 4. ზედა მიოცენური (სარმატული) ფორმაციის რუკა

ძირითადი დასკვნები

კვლევის შედეგად გაკეთდა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. საქართველოს დანალექი ქანების მიერ ნახშირწყალბადების გენერირების პოტენციური აშკარად დასტურდება ნავთობისა და გაზის საბადოების არსებობით, სიღრმეში (ბურღვისას) ნავთობისა და გაზის გამოვლინებით, ზედაპირთან ახლოს მდებარე და ზედაპირული ქანებიდან ნავთობის გამონაჟონით და პოტენციური ნავთობმზადი ქანებიდან მოპოვებული ორგანული მასალის ანალიზით.
2. საქართველოში „ფიქლის“ გაზის შესაძლო შემცველი ოთხი ძირითადი ფორმაციაა:

- ა) ზედა მიოცენური (სარმატული) ფორმაცია;
- ბ) ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური (მაიკოპური) ფორმაცია,
- გ) შუა იურული (აალენ-ბათური) ფორმაცია, და
- დ) ქვედა იურული (ლიასური) ფორმაცია,

ამ ფორმაციების ქანები სხვადასხვა სიღრმეებზე განლაგებულია საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედზე ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

3. ზედაპირზე და ჭაბურღილებში გამოვლენილი ნავთობის მრავალრიცხოვანი გამონაჟონი მეტყველებს, საქართველოში სარმატული, მაიკოპური და ლეიასური ფორმაციების კეროგენით სიმდიდრეზე. ჭაბურღილების კვლევის მონაცემების მიხედვით აალენ-ბათური ასაკის „ფიქლებში“ ფიქსირდება ნავთობისა და გაზის ნიშნები. არსებული მონაცემებით ამ ქანების თბური მომწიფების ხარისხი უფრო ხელსაყრელია არა იმდენად ბუნებრივი გაზის, რამდენადაც ნავთობის და „ფიქლის“ გაზის გენერაციისათვის.
4. საქართველოში „ფიქლის“ გაზის პოტენციური შეიძლება შეფასდეს, როგორც „მნიშვნელოვანი“ და ადეკვატურია „ფიქლის“ გაზის მარაგების შესაფასებელი სამუშაოების პირველი ეტაპის ჩასატარებლად.
5. არსებობს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოპოვებული და სხვადასხვა სახის დიდი მოცულობისა გეოლოგიური ინფორმაცია. იმისთვის, რომ შევიწროვდეს „ფიქლის“ გაზის საძიებო სამუშაოების არეალი, საჭიროა აღნიშნული ინფორმაციის კონსოლიდაცია, სისტემატიზაცია და რიცხობრივ (კომპიუტერულ) ფორმატში გადაყვანა.

6. სხვადასხვა სალიცენზიო ბლოკების მფლობელთა ანგარიშები, ისევე როგორც უფრო ადრეული კვლევები, გვიჩვენებს, რომ ჩვენს მიერ შერჩეულ „ფიქლის“ ფორმაციებში გაზის არსებობის ალბათობა მაღალია. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, მთავარი საკითხი მარაგების სიდიდე და მოპოვების ხარჯებია.
7. საქართველო ბუნებრივი გაზით მდიდარ რეგიონში მდებარეობს და „ფიქლის“ გაზისთვის ლიკვიდური გასაღების ბაზარი ჯერ-ჯერობით არ არსებობს. საჭირო იქნება გონივრული, გრძელვადიანი მარკეტინგული და წამახალისებელი კამპანიის წარმართვა, რათა ადგილობრივმა გაზმა წარმატებით გაუწიოს კონკურენცია მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებულ ტრადიციულ გაზს ქვეყნის შიდა, რეგიონალურ და შესაძლოა საერთაშორისო ბაზრებზეც.
8. სალიცენზიო ბლოკების მფლობელებს, როგორც გაზის ისე ტრადიციული და არატრადიციული - „ფიქლის“ გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვებისათვის სათანადო მოტივაცია არ გააჩნიათ. საჭიროა გაანალიზებულ იქნას დამატებითი საბაზრო სტიმულის და/ან ხელშემწყობი მარეგულირებელი მექანიზმის შექმნის, მილსადენების წვდომის უზრუნველყოფის და მოტივირების სხვა საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.
9. იმისთვის, რომ მთავრობამ გაზის ადგილობრივი რესურსების გეგმაზომიერ ათვისებას შეუწყოს ხელი, საჭიროა „გაზის სტრატეგიის“ პროგრამის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს „ფიქლის“ გაზის საძიებო სამუშაოებსაც.

საქართველოში „ფიქლის“ გაზის მოპოვების ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთება

„ფიქლის“ გაზის მოპოვება საძიებო, ბურღვის და მოპოვების სამუშაოთა განსაკუთრებული სპეციფიკის გამო რამდენიმე პრობლემას უკავშირდება. ამის გამო, სამუშაოებთან დაკავშირებულ ხარჯებზე და შესაბამისად ბაზრის პირობებზე დამოკიდებულება შედარებით მაღალია. წარმატება დამოკიდებულია მთელი რიგი პრობლემების წარმატებულ გადაწყვეტაზე, რომელთა შორისაა:

- „ფიქლის“ გაზის რესურსების იდენტიფიკაცია და სამრეწველო მახასიათებლების დადგენა;
- პერსპექტიული საბადოების დადგენა;
- ბურღვის და „დასრულების“ სამუშაოების სტრატეგიის შემუშავება;
- ხელსაყრელი საბაზრო და მარეგულირებელი პირობების შექმნა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვა და წყლის რესურსების უსაფრთხო მართვა.

ამ პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით საჭიროა ტექნიკურ–ეკონომიკური შეფასების ჩატარება საქართველოში „ფიქლის“ გაზის მოპოვების განვითარებისათვის ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, მარეგულირებელი, ეკოლოგიური და ინფრასტრუქტურული ფაქტორების გათვალისწინებით ყველაზე პრაქტიკული ვარიანტების შესარჩევად.

ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის კონკრეტული ამოცანები მოიცავს:

1. საქართველოში „ფიქლის“ გაზის სამრეწველო მარაგების არსებობის დადგენა;
2. „ფიქლის“ გაზის საბადოების მოცულობის (მარაგების), არეალის და გეოლოგიური გავრცელების შეფასება;
3. მოპოვების სავარაუდო ხარჯების და მოცულობების შეფასება მინიმუმ ორი სხვადასხვა სცენარის მიხედვით;
4. ქართული „ფიქლის“ გაზის პოტენციური ბაზრის შეფასება და საბაზრო სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
5. გაზის სექტორში არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის და მისი განვითარების საჭიროებების შეფასება;
6. მთავრობისათვის რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში ფიქლის გაზის მოპოვების და გამოყენების სფეროში ოპტიმალური მიდგომისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

აღნიშნული კვლევის მიზანი უნდა იყოს საქართველოში „ფიქლის“ გაზის მდგრადი და ეკონომიკურად მომგებიანი მოპოვების პერსპექტივების დადგენა. კვლევის პირველმა ეტაპმა საკმარისი მონაცემები უნდა მისცეს მთავრობას და პოტენციურ ინვესტორებს შემდგომი მოქმედების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ჯანსაღი საერთო საფუძველი უნდა შექმნას მათი შემდგომი თანამშრომლობისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის ჩასატარებლად ხელმისაწვდომი რესურსები შეზღუდულია, უკვე არსებული ინფორმაცია და ექსპერტთა კვალიფიკაცია მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული საქართველოსათვის ეკონომიკური სარგებელის უზრუნველსაყოფად და არა წმინდა სამეცნიერო მიზნებისათვის. კვლევის შედეგად უნდა მომზადდეს საფუძველი სამუშაოების მეორე ეტაპისათვის, რაც „ფიქლის“ გაზის რესურსების პრაქტიკულ ათვისებას გულისხმობს; მან აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს არსებული სალიცენზიო ბლოკების მფლობელთა მიერ ინვესტიციების ჩადებას და ახალი პოტენციური ინვესტორების მოზიდვას.

პირველ ეტაპზე ფიქლის გაზის რესურსების კვლევითი სამუშაოების მოცულობა

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოები მიეკუთვნება პირველ ეტაპს: „ფიქლის“ გაზის საბადოების გამოვლენა (Stage I - Shale Gas Play Discovery) და აგრეთვე მოიცავს გამოვლენილი რესურსების ათვისების მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზს. კვლევა შესრულდება ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების თანმიმდევრული განხორციელების გზით, რაც საბოლოოდ საქართველოში „ფიქლის“ გაზის რესურსების ათვისების ეკონომიკური პოტენციალის შეფასებამდე უნდა მიგვიყვანოს. კვლევის ფარგლებში შესასრულებელი კონკრეტული სამუშაოებია:

ამოცანა 1. საქართველოში „ფიქლის“ გაზის საბადოების შესახებ გეოლოგიურ მონაცემთა ერთიანი ცენტრალიზებული ბაზის შექმნა

ამოცანა 2. „ფიქლის“ გაზის საძიებო გეოლოგიური ანალიზის განხორციელება ლიცენზიების ბლოკების ოპერატორებთან ერთად

ამ სამუშაოების შედეგად შეგროვდება, სისტემატიზირდება და „გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემის“ (GIS) ფორმატში დაფიქსირდება პოტენციურ გაზმბად „ფიქალთან“ დაკავშირებული ზედაპირული და სიღრმული გეოლოგიური ინფორმაცია; შემუშავდება საქართველოში „ფიქლების“ განაწილების სიღრმული მოდელი; გამოვლენილი იქნება „ფიქლის“ გაზის ბუდობები; დადგინდება თუ რა დამატებითი პარამეტრების შესწავლაა საჭირო „ფიქლის“ გაზის საბადოთა პოტენციალის შესაფასებლად.

ამოცანა 3. საქართველოში „ფიქლის“ გაზის გეოლოგიური ჩარჩო-მოდელი

ამ კვლევის მიზანია ყველა შეგროვებული გეოლოგიური მონაცემის საფუძველზე ჩარჩო-მოდელის შექმნა, რომელიც ასახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იდენტიფიცირებული გაზმბადი ფიქლის ფორმაციების სიღრმეს, სისქეს და გავრცელების არეს. ის აგრეთვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქანების ტიპის, მახასიათებლების (მინერალოგია, TOC, პეტროფიზიკა) და ნავთობისა და გაზის არსებობის შესახებ. ამ ეტაპზე აგრეთვე ჩატარდება სავსელე კვლევები: სინჯების აღება და ლაბორატორიული ანალიზი (ერთი ტიპის ფორმაციისათვის საშუალოდ 5 სინჯი).

ამოცანა 4. გაზის ბაზრის, მარეგულირებელი კანონმდებლობის და ინფრასტრუქტურის შესწავლა

„ფიქლის“ გაზის რესურსების ათვისება დამოკიდებულია საბაზრო კონიუნქტურაზე და ყველა იმ ფაქტორზე, რომელიც ზემოქმედებს მისი მოპოვების ხარჯებზე. მოცემულ ეტაპზე კვლევის ამოცანებია: ქართული „ფიქლის“ გაზის საბაზრო პოტენციალის შეფასება, ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბით; „ფიქლის“ გაზის მომპოვებელი კომპანიებისათვის არსებული მარეგულირებელი და სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება; ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და მდგომარეობის; და საქართველოში „ფიქლის“ გაზის რესურსების ათვისებასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.

ამოცანა 5-6. „ფიქლის“ გაზის რესურსების სკრინინგი, რანჟირება და ანალიზი; ფიქლის გაზის შერჩეული საბადოების გეოფიზიკური კვლევა

აღნიშნულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს „ფიქლის“ გაზის საბადოების (აკუმულირების ადგილების) სკრინინგი, რანჟირება, ანალიზი და შერჩევა; გამოვლინდება „ფიქლის“ გაზის შერჩეული საბადოს/ების სავარაუდო საკვლევი ზონა; მიღებული შედეგები გაანალიზებული იქნება სამიეზო ბურღვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

ამოცანა 7. სამიეზო საცდელი ბურღვა და გეოლოგიური მონაცემების ანალიზი

აღნიშნული ეტაპის ამოცანაა პირველი „კანდიდატ“ ფორმაციის საცდელი სამიეზო ბურღვა და გეოლოგიური მონაცემების შეგროვება. საცდელი ჭაბურღილის/ების მიზანია: 1) ნავთობისა და გაზის მარაგის განსაზღვრა, 2) რეზერვუარის დრენირების პროგრამის შემუშავება და ოპტიმიზაცია, 3) შესაძლო ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: ფენის ჰიდრავლიკური გახლეჩვის მეთოდების და საჭირო მოწყობილობების შერჩევა და სხვა.

ამოცანა 8. „ფიქლის“ გაზის ათვისების სამოქმედო გეგმა

აღნიშნული ეტაპის ამოცანაა რეკომენდაციების და გეგმების შემუშავება „ფიქლის“ გაზის ათვისებისათვის ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოს მთავრობის მიერ მისაღები შემდგომი ზომების შესახებ. ეს ამოცანა რამოდენიმე ქვეკომპონენტისაგან შედგება: ეტაპი N2: ა) „ფიქლის“ გაზზე ბურღვისა და რეზერვუარის რესურსების შეფასების პროგრამა; ბ) ფიქლის გაზის ბაზრის განვითარების რეკომენდაციები; გ) რისკების მართვის გეგმა.

N 1 ეტაპის „ფიქლის გაზის ათვისების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის“ დასრულებისათვის საჭირო მთლიანი საპროგნოზო თანხაა **\$2.78M**, ხოლო სავარაუდო ვადა – **16 თვე**.

დღეისათვის არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი გაზის მარაგების შესაფასებლად, თუმცა გაზმზადი ფიქლების მთლიანი პოტენციალის ძალიან მიახლოებითი შეფასება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს შეიძლება „ფიქლის“ გაზის ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები აღმოაჩნდეს, რომელიც შეერთებულ შტატებში არსებული ყველაზე პროდუქტიული „ფიქლების“ შესადარია.